

MIDDLE ASSYRIAN LAWS (MAL)

შუა ასურული კანონები

CHAREKISHVILI NINO

Professor, Georgian Institute of Public Affairs (GIPA)

Rustavi Highway N22a, 0114, Tbilisi, Georgia

ORCID: 0000-0002-9568-2926

n.charekishvili@gipa.ge

Abstract: The Middle Assyrian Laws (MAL) represent a collection of laws composed using the cuneiform writing system of ancient Mesopotamia. The documents are written in the Akkadian language, in the Middle Assyrian dialect. The Middle Assyrian Laws date from 1450 to 1250 BCE. They closely resemble Sumerian and Babylonian law, although the punishments for crimes were more severe in this case.

The Middle Assyrian Laws have survived in the form of several clay tablets. The tablets that have reached us are not original documents but rather copies dating back to the 11th century BCE. The existing copies appear to have been edited during the reign of the Assyrian King Tiglath-Pileser I (circa 1114–1076 BCE). The Middle Assyrian Laws may have been collected either for his royal library or for the libraries of individual scribes. Texts were discovered by the German Oriental Society during excavations in northern Iraq between 1903 and 1914.

Each tablet of the Middle Assyrian Laws is represented by only one source and is denoted by Latin letters A through O. We have a series of tablets containing legal provisions and not a unified, systematic, reconstructed composition. Some tablets appear to describe laws relating to one or several related issues, with MAL A being the best preserved. Its forty-nine provisions detail specific situations covering the entire spectrum of legal areas: theft, blasphemy, bodily injury and assault, sexual violence and sexual offenses, abortion, murder, false accusations, inheritance, marriage and spousal property, the wearing of veils, witchcraft, pledges, and debts. More specifically, we can divide it like this:

I. Women's Property Rights and Inheritance:

- Widow's Property Rights: 25, 26, 28, 46;
- Dowry and Post-Nuptial Property: 27, 29;
- Marriage Gifts: 30, 31, 42, 43;
- Spousal Property: 35;

II. Women's Status in Marriage and Divorce:

- Women's Responsibility: 32;
- Determination of Widow's Status: 33, 34;
- Wife Abandoned by Husband: 36;
- Divorce: 37, 38;

III. Crimes Committed by Women and Their Punishments:

- Theft: 1, 3, 5;
- Blasphemy: 2;
- Aggression and Violence: 7, 8;

- Adultery: 13;
- Abortion: 53;

IV. Crimes Committed Against Women and Their Punishments:

- Aggression and Violence Against Women: 9;
- Rape: 12, 55, 56;
- Harm to Pregnant Women: 21, 50, 51, 52;

V. Other Issues Concerning Women:

- Status of Non-Free Women: 4, 39, 48;
- Women's Conduct in Public Space: 40;
- Status of a Concubine: 41;
- Interference of Third Parties in Family Relations: 6, 10, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 22, 23, 24;
- Family Obligations: 28, 44, 45, 47;
- Other Fragmentary Records: 49, 57, 58, 59.

MAL B's twenty provisions cover situations relating to inheritance and agriculture and irrigation. MAL C+G has eleven provisions that mainly concern pledges and deposits. The remaining tablets, which are smaller and less well-preserved, concern: theft, the responsibilities of shepherds, rules of maritime traffic, blasphemy, false accusations, inheritance, irrigation.

Keywords: Assyriology; Mesopotamia; Assyria; Laws; Middle Assyrian Laws (MAL); Tiglath-Pileser I.

ნინო ჩარეკიშვილი

პროფესორი, დოქტორი,

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

მის.: რუსთავის გზატკეცილი N22ა, 0114,

თბილისი, საქართველო

ORCID: 0000-0002-9568-2926

n.charekishvili@gipa.ge

აბსტრაქტი: შუა ასურული კანონები (MAL¹) წარმოადგენს კანონების კრებულს, რომელიც შედგენილია ძველი მესოპოტამიის ლურსმული დამწერლობის სისტემით. დოკუმენტები დაწერილია აქადურ ენაზე შუა ასურული დიალექტით. შუა ასურული კანონები თარიღდება ქ.წ. 1450-დან 1250 წლებით. ის ძალიან ჰგავს შუმერულ და ბაბილონურ სამართალს, თუმცა დანაშაულისთვის სასჯელები ამ შემთხვევაში უფრო სასტიკი იყო.

შუა ასურული კანონები შემორჩენილია რამდენიმე თიხის ფირფიტის სახით. ჩვენამდე მოღწეული ფირფიტები არ არის ორიგინალი დოკუმენტები, არამედ ასლებია, რომლებიც მიეკუთვნება ძვ.წ. XII-XI საუკუნეს. არსებული ასლები, როგორც ჩანს, რედაქტირებულია ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის (დაახლოებით ქ.წ. 1114–1076 წლები) მეფობის დროს.

¹ Middle Assyrian Laws - MAL

შუა ასურული კანონები, შესაძლოა, შეგროვდა ან მისი სამეფო ბიბლიოთეკისთვის, ან ცალკეული მწიგნობართა ბიბლიოთეკებისთვის. ტექსტები აღმოაჩინა გერმანულმა აღმოსავლურმა საზოგადოებამ ჩრდილოეთ ერაყში 1903-1914 წლების გათხრების დროს.

შუა ასურული კანონების თითოეული ფირფიტა წარმოდგენილია მხოლოდ ერთი წყაროს სახით და აღნიშნულია ლათინური ასოებით A-დან O-მდე. ჩვენ გვაქვს კანონის დებულებების შემცველი ფირფიტების სერია და არა ერთიანი, სისტემატური, რეკონსტრუირებული კომპოზიცია. ზოგიერთი ფირფიტა, როგორც ჩანს, აღწერს კანონებს, რომლებიც ეხება ერთ ან რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებულ საკითხს, ყველაზე კარგადაა შემონახული MAL A. მის ორმოცდაცხრა დებულებაში კონკრეტული სიტუაციებია მოცემული მოიცავს სამართლებრივი სფეროს მთელ სპექტრს: ქურდობას, მკრეხელობას, სხეულის დაზიანებასა და თავდასხმას, სექსუალურ ძალადობასა და სექსუალურ დანაშაულებს, აბორტს, მკვლელობას, ცრუ ბრალდებებს, მემკვიდრეობას, ქორწინებასა და მეუღლეთა ქონებას, თავშლის ტარებას, ჯადოქრობას, გირაოსა და ვალებს. უფრო კონკრეტულად შეიძლება ასე დავყოთ:

I. ქალის ქონებრივი უფლებები და მემკვიდრეობა:

- ქვრივის ქონებრივი უფლებები: 25, 26, 28, 46;
- მზითევი და ქორწინების შემდგომი ქონება: 27, 29;
- საქორწინო საჩუქრები: 30, 31, 42, 43;
- მეუღლეთა საკუთრება: 35;

II. ქალის სტატუსი ქორწინებაში და განქორწინება:

- ქალის პასუხისმგებლობა: 32;
- ქვრივის სტატუსის განსაზღვრა: 33, 34;
- ქმრის მიერ მიტოვებული ცოლი: 36;
- განქორწინება: 37, 38;

III. ქალის მიერ ჩადენილი დანაშაულები და მათთვის დაწესებული სასჯელები:

- ქურდობა: 1, 3, 5;
- მკრეხელობა: 2;
- აგრესია და ძალადობა: 7, 8;
- ღალატი: 13;
- აბორტი: 53;

IV. ქალის მიმართ ჩადენილი დანაშაულები და მათთვის დაწესებული სასჯელები:

- აგრესია და ძალადობა ქალის მიმართ: 9;
- გაუპატიურება: 12, 55, 56;
- ორსული ქალისთვის ზიანის მიყენება: 21, 50, 51, 52;

V. სხვა საკითხები, რომლებიც ეხება ქალებს:

- არათავისუფალი ქალის სტატუსი: 4, 39, 48;
- ქალის ქცევა საჯარო სივრცეში: 40;
- ხარჭის სტატუსი: 41;
- მესამე პირების ჩარევა ოჯახურ ურთიერთობებში: 6, 10, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 22, 23, 24;
- ოჯახური ვალდებულებები: 28, 44, 45, 47;
- სხვა ფრაგმენტული ჩანაწერები: 49, 57, 58, 59.

MAL B-ს ოცი დებულება მოიცავს სიტუაციებს, რომლებიც ეხება მემკვიდრეობას და სოფლის მეურნეობასა და ირიგაციას. MAL C+G-ს აქვს თერთმეტი დებულება, რომლებიც

ძირითადად ეხება გირაოსა და დეპოზიტებს. დანარჩენი ფირფიტები, რომლებიც უფრო მცირეა და ნაკლებად კარგად არის შემონახული, ეხება: ქურდობას, მწყემსების პასუხისმგებლობებს, საზღვაო მიმოსვლის წესებს, მკრეხელობას, ცრუ ბრალდებებს, მემკვიდრეობს, ირიგაციას.

სამიუბო სიტყვები: ასირიოლოგია, მესოპოტამია, ასურეთი, კანონები, შუა ასურული კანონები (MAL), ტიგლათფილესერ I.

შესავალი: XIV საუკუნის შუა ხანებისთვის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური და სამხედრო კონტროლი ანატოლიაში ხეთების, ხმელთაშუაზღვისპირეთში ეგვიპტელების, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ასურელების და სამხრეთ მესოპოტამიაში კასიტების ხელში იყო. ასურეთის მეფე აშურ-უბალიტ I (მეფობდა ქ.წ. 1363-1328 წლებში) დაუპირისპირდა რეგიონში ხეთების ახალი სამეფოს ძლიერებასა და გავლენას; თუქულთი-ნინურტა I-მა (მეფობდა ქ.წ. 1243-1207 წლებში) აიღო ბაბილონი; ტიგლათფილესერ I-ის (მეფობდა ქ.წ. 1114-1076 წლებში) დროისთვის კასიტური ბაბილონი და ხეთების სამეფო უკვე აღარ წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან ძალას, ხოლო ასურეთი ამ დროს რეგიონის უკონკურენტო პოლიტიკურ ძალად იქცა.

შუა ასურული კანონები მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც განიხილავს პირთა ორ ძირითად კლასს: თავისუფალ პირს (awilu, „კაცი“) და მონა კაცსა და ქალს (urdu და amtu). ყველაზე სრული ფირფიტა (ლურსმული დამწერლობის მკვლევართა მიერ „A“-თი აღნიშნული) ეხება ქალებთან დაკავშირებულ საკითხებს. ის ეხება awilu-კლასის ქალებთან დაკავშირებულ რეგულაციებს, მოიხსენიებს ცოლებს, ქვრივებს და qadiltu-კლასის ქალებს.

მსჯელობა:

კანონები
(დაახლ. ქ.წ. 1076 წ., ქ. ასური)

MAL A

1. (a i 1-13; b 1-4). თუკი ქალი – თავისუფალი კაცის ცოლი ან თავისუფალი კაცის ქალიშვილი – შევა ღვთაების სახლში (ტაძარში) და ტაძრის საკურთხეველიდან რაიმეს მოიპარავს, (შემდეგ) მის ხელში აღმოაჩენენ, მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას დაამტკიცებენ და დამნაშავედ სცნობენ. იმკითხავენ: ღვთაებას ჰკითხავენ, და ისინი ისე მოექცევიან მას, როგორც ღვთაება იტყვის.

2. (a i 14-22; b 5-7). თუკი ქალი – თავისუფალი კაცის ცოლი ან თავისუფალი კაცის ქალიშვილი მკრეხელობას ან სამარცხვინო საქციელს ჩაიდენს, მხოლოდ ეს ქალი უნდა დაისაჯოს. მისი ქმარი, მისი ვაჟები, ან მისი ქალიშვილები არ უნდა დაისაჯონ.

3. (a i 23-45; b 8-10). თუკი კაცი ავად გახდება ან გარდაიცვლება, და მისი ცოლი სახლიდან რამეს მოიპარავს და მას მისცემს კაცს, ან ქალს, ან სხვა ნებისმიერ პირს, მაშინ კაცის ცოლიც და (ნაქურდალის) მიმღებიც უნდა მოკვდეს. (a i 32). თუკი ჯანმრთელი კაცის ცოლი ქმრის სახლიდან რამეს მოიპარავს და მას მისცემს კაცს, ან ქალს, ან სხვა ნებისმიერ პირს, კაცმა უნდა დაამტკიცოს ბრალდება ცოლის წინააღმდეგ² და დასაჯოს; კაცის ცოლისგან (მოპარული საქონლის) მიმღებმა მოპარული საქონელი (=ნაქურდალი) უნდა დააბრუნოს, და ის უნდა დაისაჯოს ისეთივე სასჯელით, რასაც კაცი თავის ცოლს დაუწესებს.

4. (i 46-56). თუკი მონა კაცი ან მონა ქალი³ მიიღებს რაიმეს (=ნაქურდალს) კაცის ცოლისგან, მონა კაცს ან მონა ქალს ცხვირი და ყურები უნდა მოაჭრან; მოპარული ნივთი (=ნაქურდალი) უნდა დააბრუნონ. კაცი თავის ცოლს(აც) მოაჭრის ყურებს, მაგრამ თუ ის ცოლს გაათავისუფლებს და ყურებს არ მოაჭრის, არც მონა კაცს და არც მონა ქალს (ცხვირი და ყურები) არ უნდა მოაჭრან და მოპარულ ნივთსაც (=ნაქურდალსაც) არ დააბრუნებენ.

5. (i 57-69). თუკი კაცის ცოლი სხვა კაცის სახლიდან 5 მინა კალაზე⁴ მეტი ღირებულების ქონებას მოიპარავს, მოპარული ქონების მფლობელმა უნდა დაიფიცოს და თქვას: „მე ნამდვილად არ მიმიცია მისთვის (ამის) ალების უფლება; ჩემს სახლში ქურდობა მოხდა“.⁵ თუკი მის ქმარს სურს, შეუძლია დააბრუნოს მოპარული ნივთი და გამოისყიდოს იგი; და მას ყურებს მოაჭრის. თუკი მისი ქმარი არ გამოისყიდის, მაშინ მოპარული ნივთის მფლობელმა უნდა წაიყვანოს იგი და ცხვირი მოაჭრას.

6. (i 70-73). თუკი კაცის ცოლი რაიმე ნივთს ოჯახის გარეთ შესანახად დატოვებს, ნივთის მიმღები პასუხისმგებელი იქნება მოპარულ ქონებაზე.⁶

7. (i 74-77). თუკი ქალი ხელს აღმართავს კაცზე და მას ბრალს დასდებენ და დაუმტკიცებენ, 30 მინა კალა უნდა გადაიხადოს და 20-ჯერ უნდა გაჯოხონ.⁷

8. (i 78-87). თუკი ქალი ჩხუბის დროს კაცს სათესლე ჯირკვალს დაუზიანებს, მას ერთი თითი უნდა მოკვეთონ. თუკი ექიმი (დაზარალებულს) სახვევს დაადებს, და შემდეგ მეორე სათესლე ჯირკვალი შეეხება მას (პირველს) და ისიც დაჩირქდა,⁸ ან თუ ჩხუბის დროს მეორე სათესლე ჯირკვალსაც დაუზიანებს, ქალს ორივე [ხელი⁹] უნდა მოკვეთონ.

² ფიცით/ფიცის ქვეშ უნდა ამხილოს.

³ = მხევალი

⁴ annaku(m) "tin; lead", კალა, ტყვია.

⁵ როგორც ჩანს, აქ საუბარია იმაზე, რომ მფლობელი ფიცს დებს, რომ მან არ წაახალისა ქალი ქურდობაზე და ხაზს უსვამს, რომ მის სახლში მოხდა ქურდობა მისი ნებართვის გარეშე.

⁶ ანუ თუ ცოლი ოჯახის საკუთრებას (რაიმეს) გადასცემს სხვა პირს შესანახად ქმრის ნებართვის გარეშე ან ისე რომ მის ქმარს ეს არ ეცოდინება და შემდეგ ამ ქონებას მოიპარავენ, პასუხისმგებლობა ქურდობაზე დაეკისრება იმ პირს, ვინც ეს საქონელი შესანახად მიიღო.

⁷ = ან წვეპლა დაარტყან, გაწვეპლონ.

⁸ ეს ნიშნავს, რომ თუ ქალის მიერ მიყენებული დაზიანების გამო ერთი სათესლე ჯირკვალი დაუზიანდა და ექიმმა მას ბინტი დაადო, ხოლო შემდეგ მეორე, ჯანმრთელი სათესლე ჯირკვალი ამ ბინტს შეეხო (ან დააწვა) და ისიც დაჩირქდა, მაშინ ქალს ორივე ხელი უნდა დაუმახინჯდეს. მარტივად რომ ვთქვათ, დაზიანებულ სათესლე ჯირკვალზე დადებულმა ბინტმა მეორე, თუკი ჯანმრთელი სათესლე ჯირკვლის დაინფიცირება გამოიწვია, წავიდა ინფექცია, ეს დამატებით დაზიანებად ითვლება.

9. (i 88-96). თუკი კაცი ხელს აღმართავს ქალზე და თავს დაესხმება მას, როგორც გამძვინვარებული ხარი(?).⁹ შემდეგ (კაცს) ბრალს დაუმტკიცებენ და დამნაშავედ ცნობენ, მას ერთი თითი უნდა მოაჭრან. თუკი (ის) აკოცებს მას, მაშინ მის ქვედა ტუჩს ნაჯახის(?) პირზე გადაუსვამენ და მოკვებენ.¹⁰

10. (i 97-ii 6). [თუკი] კაცი ან ქალი შევა [სხვა კაცის] სახლში და მოკლავს [კაცს] ან ქალს. მკვლელები [სახლის პატრონს უნდა გადასცენ]: თუ ის მოისურვებს – მოკლავს მათ, ან თუ მორიგებას ისურვებს – წაართმევს [მათ ქონებას]; და თუ მკვლელის სახლიდან წასაღები ღირებული [არაფერია], მაშინ ან ვაჟიშვილს [ან ქალიშვილს ...].

11. (ii 7-13). [თუკი ...]

12. (ii 14-24). თუკი კაცის ცოლი მთავარ გზაზე მიდის და მას კაცი შეიპყრობს და ეტყვის. „მე მინდა შენთან დაწვე!“ (თუკი) ის არ დათანხმდება, თავს დაიცავს, მაგრამ (კაცი) ძალით შეიპყრობს და დაწვება მასთან; თუკი მას (კაცს) ქალთან წაასწრებენ, ან მოწმეები დაამტკიცებენ მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალს, რომ ის ქალთან იწვა – კაცი უნდა მოკვდეს, ქალს სასჯელი არ ექნება.¹¹

13. (ii 25-29). თუკი კაცის ცოლი თავისი სახლიდან გამოვა და სხვა კაცთან წავა, სადაც ის ცხოვრობს, თუკი კაცს ეცოდინება რომ ეს ქალი გათხოვილია და ის მაინც დაწვება მასთან, ეს კაციც და კაცის ცოლიც უნდა მოკვდეს.

14. (ii 30-40). თუკი კაცი სხვა კაცის ცოლთან ან სასტუმროში ან მთავარ გზაზე დაწვება,¹² და ეცოდინება, რომ ის კაცის ცოლია¹³. მაშინ ისე უნდა მოექცნენ ამ (მრუმ) კაცს, როგორც კაცი (=ქმარი) თავის ცოლს სურვილისამებრ მოექცევა. თუკი კაცი დაწვება ქალთან და არ ეცოდინება, რომ ის კაცის ცოლია, – (მრუში) კაცი უდანაშაულოა. კაცმა კი უნდა დაამტკიცოს ბრალდება ცოლის წინააღმდეგ¹⁴ და მას სურვილისამებრ მოექცევა.

15. (ii 41-57). თუკი კაცი თავის ცოლს სხვა კაცთან წაასწრებს და დაამტკიცებს მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას და დამნაშავედ ცნობს, ორივეს მოკლავენ. მას (ქმარს) პასუხისმგებლობა არ ეკისრება.¹⁵ თუკი ისინი (ორივე) შეიპყრეს და მიიყვანეს ან მეფის ან მსაჯულების წინაშე, და ისინი დაამტკიცებენ მისი (ცოლის) წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას და მას დამნაშავედ ცნობენ – თუ ქალის ქმარი მოკლავს მის ცოლს, მან ასევე კაციც უნდა მოკლას. თუკი ცოლს ცხვირს მოაჭრის, კაცი უნდა დაასაჭურისოს და მთელი სახე

⁹ buru(m) II "(bull) calf", შეიძლება იგულისხმებოდეს ცხოველური მოპყრობა.

¹⁰ = ანუ მისი ქვედა ტუჩი კიდემდე უნდა გაიჭიმოს და გადაუსვან ნაჯახის/ცულის პირზე და შემდეგ მოაჭრან. აქ ხაზგასმულია, რომ ტუჩს უბრალოდ არ მოკვებენ, არამედ ჯერ ნაჯახის პირზე გადაუსვამენ, რაც კიდევ უფრო მტკივნეული და დამამცირებელი სასჯელი უნდა ყოფილიყო.

¹¹ = ქალი არ დაისჯება, როცა კაცის ძალადობის მსხვერპლია.

¹² = იძალადებს სექსუალურად.

¹³ ანუ გათხოვილია.

¹⁴ = ფიცის ქვეშ ამხილოს.

¹⁵ ანუ როდესაც ქმარი თავის ცოლთან სხვა მამაკაცს დაიჭერს და ორივე დამნაშავედ იქნება ცნობილი მრუმობაში, ქმარი არ დაისჯება იმის გამო, რომ მან ეს სიტუაცია აღმოაჩინა და შესაძლოა, რაიმე ქმედება განახორციელა (მაგალითად, დაიჭირა ისინი). კანონი არ აკისრებს მას რაიმე პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ მისი ცოლი სხვა მამაკაცთან იყო. მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მრუმობაში მხილებულ ქალსა და მამაკაცს.

დაუსახიჩრონ;¹⁶ მაგრამ თუ თავის ცოლს [გათავისუფლებს], მაშინ კაციც უნდა [გათავისუფლდეს].

16. (ii 58-66). თუკი კაცი [დაწვება] კაცის ცოლთან [...] მისი თანხმობით¹⁷, კაცი უდანაშაულო იქნება; კაცმა (=ქმარმა) თავისი ცოლი სურვილისამებრ უნდა დასაჯოს. თუკი ძალით დაწვება მასთან, დაამტკიცებენ მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას და დამნაშავედ ცნობენ, მისი სასჯელი კაცის ცოლის სასჯელის იდენტური იქნება.

17. (ii 67-71). თუკი კაცი სხვა კაცს ეტყვის: „ყველა შენს ცოლთან წევს“, მაგრამ მოწმეები არ ჰყავს, ისინი შეთანხმდებიან და გაივლიან ღვთაებრივი მდინარის განსაცდელს.¹⁸

18. (ii 72-81). თუკი კაცი თავის მეგობარს¹⁹ ეტყვის, პირადად ან საჯარო ჩხუბში: „ყველა შენ ცოლთან წევს“ და შემდეგ (ეტყვის): „მე შემოძლია დავამტკიცო ბრალდება“. ²⁰ მაგრამ ის ვერ ამხელს და ბრალს ვერ დასდებს, ²¹ ეს კაცი 40-ჯერ უნდა გაჯოხონ. ის ერთი თვე შეასრულებს სამეფო სამუშაოს; თმას მოაჭრიან,²² (ასევე) 1 ტალანტი²³ კალა უნდა გადაიხადოს.

19. (ii 82-92). თუკი კაცი ფარულად ავრცელებს ჭორებს თავის მეგობარზე²⁴ და ამბობს: „ყველა მასთან წევს“, ან საჯარო ჩხუბის დროს ეტყვის მას: „ყველა შენთან წევს“ და შემდეგ (ეტყვის): „მე შემოძლია დავამტკიცო შენს წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება“, ²⁵ მაგრამ ის ვერ ამხელს და ბრალს ვერ დასდებს, ეს კაცი 50-ჯერ უნდა გაჯოხონ, ერთი თვე შეასრულებს სამეფო სამუშაოს, თმას მოაჭრიან. გარდა ამისა, 1 ტალანტი კალა უნდა გადაიხადოს.

20. (ii 93-97). თუკი კაცი თავის მეგობარ (კაცთან ძალით) დაწვება,²⁶ მას ამხელენ და დამნაშავედ ცნობენ, თავად მასთან უნდა დაწვნენ²⁷ და დაასაჭურისონ.

21. (ii 98-104). თუკი კაცი დაარტყამს თავისუფალი წრის ქალს და მუცელს მოუშლის, მას ამხელენ და დამნაშავედ ცნობენ; მან უნდა გადაიხადოს 2 ტალანტი და 30 მიწა კალა და 50-ჯერ უნდა გაჯოხონ, (ასევე) ერთი თვე შეასრულებს სამეფო სამუშაოს.

22. (ii 105-iii 13). თუკი უცხო კაცი - არც მამამისი, არც მისი ძმა, არც მისი ვაჟიშვილი - (სხვა) კაცის ცოლთან ერთად იმოგზაურებს და არ ეცოდინება რომ ის გათხოვილია, მაშინ მან უნდა დაიფიცოს, რომ არ იცოდა, რომ ის გათხოვილია²⁸ და ქალის ქმარს 2 ტალანტი კალა უნდა გადაუხადოს. თუ [მან იცის, რომ ის გათხოვილია], აანაზღაურებს ზარალს და დაიფიცებს: „მე არ ვწოლილვარ მასთან!“²⁹ მაგრამ თუ კაცის ცოლი იტყვის: „ის იწვა ჩემთან“,

¹⁶ = დაუჭრან, დაუმახინჯონ.

¹⁷ ანუ ქალი შეაცდენს.

¹⁸ წყლით გამოცდა ადამიანის დამნაშავეობა-უდანაშაულობის გასარკვევად.

¹⁹ tappû – კოლეგა, მეგობარი, პარტნიორი, კომპანიონი.

²⁰ ბრალს დავდებ ფიცის ქვეშ.

²¹ ubtaerus, uktairus

²² ანუ თავზე ნიშანს დაადებენ.

²³ maltaktu(m) "test, check" O/jB; bilat maltakti "(officially) assayed talent"; OB "sand-clock"

²⁴ = თანამებრძოლზე, თანასწორზე.

²⁵ ანუ ფიცის ქვეშ ამხელს

²⁶ ანალურ სექსუალურ კავშირს დაამყარებს.

²⁷ მასთანაც დაამყარებენ ანალურ სექსუალურ კავშირს.

²⁸ სიტყვ.: კაცის ცოლია.

²⁹ ანუ არ ჰქონია სქესობრივი კავშირი.

ვინაიდან კაცმა უკვე ზიანი აუნაზღაურა კაცს (ანუ ქმარს), მან სავალდებულო შეთანხმების გარეშე უნდა გაიაროს ღვთაებრივი მდინარის განსაცდელი. თუკი უარს იტყვის ღვთაებრივი მდინარის განსაცდელზე. მას ისე მოექცევიან, როგორც ქალის ქმარი მოექცევა თავის ცოლს.

23. (iii 14-40). თუკი კაცის ცოლი სხვა კაცის ცოლს მიიყვანს სახლში და მისცემს კაცს სიძვის მიზნით, და კაცმა იცის, რომ ის გათხოვილია, მას (კაცს) ისე მოექცევიან, როგორც სხვის ცოლთან მწოლარეს. ხოლო მაჭანკალ ქალს ისე მოექცევიან, როგორც ქალის ქმარი ექცევა თავის მეძავ³⁰ ცოლს. და თუ ქალის ქმარი არაფერს დაუშავებს თავის მეძავ ცოლს, მაშინ არაფერი არ უნდა დაუშავონ ცოლთან მწოლიარე (კაცსაც) და არც მაჭანკალ ქალს. ისინი უნდა გაათავისუფლონ. მაგრამ თუ გათხოვილმა არ იცის (რა იყო განზრახული), და (მაჭანკალი) ქალი, რომელიც მას სახლში წაიყვანს, მოტყუებით მიიყვანს მამაკაცს და ის მაშინვე დაწვება მასთან, და, როგორც კი ის დატოვებს სახლს, მან (გათხოვილმა) უნდა გამოაცხადოს, რომ სიძვის მსხვერპლი გახდა, და ქალი უნდა გაათავისუფლონ, ხოლო მასთან მწოლიარე კაცი და მაჭანკალი ქალი უნდა მოკლან. მაგრამ თუკი (გათხოვილი) ქალი არ განაცხადებს, კაცი (=ქმარი) ცოლს დასჯის სურვილისამებრ, ხოლო (გათხოვილთან) მწოლიარე (კაცი) და მაჭანკალი ქალი უნდა მოკლან.

24. (iii 41-81). თუკი კაცის ცოლი ქმარს გაექცევა და (სხვა) ასურელის სახლში შევა, ან იმ ქალაქში ან რომელიმე მიმდებარე ქალაქში, სახლში, რომელსაც მას გამოუყოფენ და იცხოვრებს დიასახლისთან, სამ-ოთხ ღამეს გაათევს და სახლის პატრონს არ ეცოდინება, რომ მის სახლში ცხოვრობს გათხოვილი ქალი, მოგვიანებით კი აღმოაჩენს მას, მაშინ იმ სახლის პატრონს, ვისაც ქალი გაექცა (ანუ ქმარს) შეუძლია ცოლი [დაასახიჩროს] და [არ] დაიბრუნოს. რაც შეეხება იმ კაცის ცოლს (=დიასახლისს), ვისათნაც გათხოვილი ქალი ცხოვრობდა – ყურებს მოაჭრიან. ქმარს სურვილისამებრ შეუძლია 3 ტალანტი და 30 *მინა* კალა მისცეს თავის ფასი, და დაიბრუნებს თავის ცოლს. თუმცა, თუ სახლის პატრონმა იცის, რომ ეს (ქალი) გათხოვილია და ცხოვრობს მის სახლში მის ცოლთან ერთად, მან უნდა გადაუხადოს „სამმაგი“. და თუკი ის უარყოფს (რომ იცოდა მისი სტატუსის შესახებ) და გამოაცხადებს. „მე არ ვიცოდი“. ისინი გაივლიან ღვთაებრივი მდინარის განსაცდელს. და თუ კაცი, რომლის სახლშიც ცხოვრობდა გათხოვილი ქალი, უარს იტყვის ღვთაებრივი მდინარის განსაცდელის გავლაზე, მან უნდა გადაიხადოს „სამმაგი“: თუ ის კაცი, ვისგანაც ცოლი წავიდა, უარს იტყვის ღვთაებრივი მდინარის განსაცდელზე, მაშინ ის (ვისთანაც ცხოვრობდა) თავისუფალია (პასუხისმგებლობისგან); მან უნდა გაიღოს ღვთაებრივი მდინარის განსაცდელის ხარჯები. თუმცა თუ კაცი, ვისგანაც ცოლი წავიდა, არ დაასახიჩრებს ცოლს და დაიბრუნებს მას, მაშინ სხვებიც არ უნდა დაისაჯონ.

25. (iii 82-94). თუკი ქალი ცხოვრობს მამის სახლში და მისი ქმარი გარდაიცვლება, ქმრის ძმებს ჯერ არ გაუნაწილებიათ მემკვიდრეობა და მას არ ჰყავს ვაჟი. ქმრის ძმები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ მიუღიათ სამკვიდრო წილი, წაიღებენ ყველაფერს ძვირფასს, რაც ქმარმა მას უბოძა და რაც არაა დაკარგული. რაც შეეხება დანარჩენს (ქონებას), ღვთაებებს მიმართავენ,

³⁰ ანუ მოღალატე ცოლი.

წარადგენენ მტკიცებულებას და საკუთრებას მიიღებენ;³¹ მათ არ უნდა დაეკისროთ ღვთაებრივი მდინარის განსაცდელი ან ფიცი.³²

26. (iii 95-102). თუკი ქალი ცხოვრობს საკუთარი მამის სახლში და მისი ქმარი გარდაიცვლება, თუ მის ქმარს ჰყავს ვაჟები, მათ უნდა აიღონ ყველა ის ძვირფასი ნივთი, რომელიც ქმარმა მას უბოძა: თუ მის ქმარს არ ჰყავს ვაჟები, მან თავად უნდა აიღოს ძვირფასი ნივთები.

27. (iii 103-108). თუკი ქალი ცხოვრობს საკუთარი მამის სახლში და მისი ქმარი ხშირად მიდის მასთან, მისი ქმრის უფლებათა დაიბრუნოს მის მიერ მიცემული საქორწინო საჩუქარი, მაგრამ მამის სახლის ქონებაზე მას არავითარი პრეტენზია არ ექნება.

28. (iv 1-10). თუკი ქვრივი (ქალი) შევა კაცის სახლში და თან ატარებს გარდაცვლილი ქმრის ვაჟს (მუცლით), და ის (ბავშვი) ამ კაცის სახლში გაიზრდება, მაგრამ (მამობილი) მის შვილად აყვანის ფირფიტას არ დაწერს, ის (შვილობილი) ვერ მიიღებს სამკვიდრო წილს გამზრდელი მამისგან და ის არ ექნება პასუხისმგებელი მის (მამობილის) ვალებზე. მან სამკვიდრო წილი მისი მშობელი მამის მემკვიდრეობიდან უნდა მიიღოს.

29. (iv 11-19). თუკი ქალი შევა თავისი ქმრის სახლში, მისი მზითვეი და ყველაფერი, რაც მას მოაქვს მამის სახლიდან, და ასევე ყველაფერი, რაც მისმა მამამთილმა მისცა მას შესვლისთანავე, განკუთვნილია მისი ვაჟებისთვის; მისი მამამთილის ვაჟებს არ ექნებათ პრეტენზია. მაგრამ თუ მის ქმარს სურს ამის კონტროლი, ის გადასცემს მას თავის იმ ვაჟს, რომელსაც მოისურვებს.

30. (iv 20-39). თუკი მამა მიიტანს თავისი ვაჟის სიმამრის სახლში საქორწინო საჩუქრებს, და ქალი მის ვაჟზე ჯერ არაა მიცემული, და მისი სხვა ვაჟი, რომლის ცოლიც თავისი მამის სახლში ცხოვრობს, გარდაიცვლება, მან თავისი გარდაცვლილი ვაჟის ცოლი უნდა გადასცეს მეორე ვაჟს, რომელსაც სიმამრის სახლში საქორწინო საჩუქარი მიტანილი აქვს. თუკი იმ ქალიშვილის მამა, რომელიც მიიღებს საქორწინო საჩუქარს, არ დათანხმდება თავისი ქალიშვილის მიცემას; და თუკი საქორწინო საჩუქრის გამომგზავნ მამას ასე სურს, ის წაიყვანს რძალს (ე.ი. გარდაცვლილი შვილის ცოლს) და მიათხოვებს თავის (მეორე) ვაჟს. და თუ მას ასე სურს, რამდენიც მან მიიტანა – კალა, ვერცხლი, ოქრო და ყველაფერი, რაც არ არის საკვები – მან უნდა დაიბრუნოს თავდაპირველად მოცემული რაოდენობით; მაგრამ საკვებზე არავითარი პრეტენზია არ ექნება.

31. (iv 40-49). თუკი კაცი საქორწინო საჩუქარს სიმამრის სახლში მიიტანს და შემდეგ მისი ცოლი გარდაიცვლება, მაგრამ სიმამრს სხვა ქალიშვილებიც ჰყავს, თუ (კაცი) მოისურვებს, შეუძლია თავისი სიმამრის (რომელიმე) ასული მოიყვანოს ცოლად გარდაცვლილი მეუღლის ნაცვლად. ან, თუ მოისურვებს, მიტანილ ვერცხლს დაიბრუნებს. (ხოლო) მარცვლეულს, ცხვარს და სხვა რაიმე საკვებს არ დაუბრუნებენ, ის მხოლოდ ვერცხლს მიიღებს.

³¹ ანუ ღვთაებრივი ფიცით მიცემული ჩვენებით დაამტკიცებენ/მოიპოვებენ ქონებაზე მათ უფლებას და შემდეგ წაიღებენ

³² ანუ დავის გადასაწყვეტად მათ არ აიძულებენ გაიარონ ღვთაებრივი მდინარის განსაცდელი, ან დადონ ფიცი.

32. (iv 50-55). თუკი ქალი საკუთარი მამის სახლში ცხოვრობს და მისი [...] ეძლევა. მიუხედავად იმისა მიიყვანეს თუ არა იგი მამამთილის სახლში, იგი აგებს პასუხს ქმრის ვალებზე, დანაშაულზე, ან სასჯელზე.

33. (iv 56-70). თუკი ქალი ცხოვრობს საკუთარი მამის სახლში, მისი ქმარი გარდაიცვლება და მას ჰყავს ვაჟი [...]. ან [თუ სურს], მას მიათხოვებს მამამთილს.³³ თუ მისი ქმარიც და მამამთილიც ორივე გარდაცვლილია და არ ჰყავს ვაჟი, ის ნამდვილად ქვრივია; (მაშინ) ის წავა სადაც მოესურვება.

34. (iv 71-74). თუკი კაცი ცოლად შეირთავს ქვრივს ოფიციალური საქორწინო ხელშეკრულების გარეშე და ის მის სახლში ორი წელი იცხოვრებს, ის მისი ცოლია; ის არ უნდა წავიდეს.

35. (iv 75-81). თუკი ქვრივი შევა კაცის სახლში, ყველაფერი, რაც თან მიაქვს, ეკუთვნის მის (ახალ) ქმარს; და თუკი კაცი შევა ქალის სახლში, ყველაფერი, რაც თან მიაქვს, ქალს ეკუთვნის.

36. (iv 82-v 14). თუკი ქალი ცხოვრობს მამის სახლში, ან ქმარი დაასახლებს მას სხვაგან, შემდეგ ქმარი გაემგზავრება ქვეყნიდან³⁴, მაგრამ არ დაუტოვებს მას ზეთს, მატყლს, ტანსაცმელს, ან რაიმე სხვას და არ უგზავნის მას საკვებს უცხოეთიდან – ეს ქალი კვლავ ქმართან რჩება ხუთი წლის განმავლობაში,³⁵ არ უნდა იცხოვროს სხვა ქმართან. (iv 93) თუ მას ვაჟები ჰყავს, დაე, ისინი უნდა დაექირავონ (ვინმეს) და ასე ირჩინონ თავი; ქალი უნდა დაელოდოს ქმარს, არ უნდა იცხოვროს სხვა ქმართან. (iv 97) თუკი ვაჟები არ ჰყავს, ქმარს ხუთი წელი უნდა დაელოდოს; მეექვსე წლის დაწყებისას კი შეუძლია იცხოვროს მის მიერ არჩეულ ქმართან; მის (პირველ) ქმარს დაბრუნების შემთხვევაში, ვერ ექნება მასზე რაიმე უფლება;³⁶ ის თავისუფალია მეორე ქმრისთვის.³⁷ (iv 103) თუკი იგი ხუთ წელზე მეტ ხანს დაყოვნდება, მაგრამ არ არის დაკავებული საკუთარი ნებით, ან [...] შეიპყრეს იგი და გაიქცა, ან იმის გამო, რომ ის ტყუილად დააკავს და ამიტომ დაიგვიანა, დაბრუნების შემდეგ თუ ის ამას (ფიცით) დაამტკიცებს, მან უნდა მისცეს მისი ცოლის სადარი ქალი (მეორე ქმარს) და თავის ცოლს დაიბრუნებს. (v 4) და თუ მეფე გაგზავნის მას სხვა ქვეყანაში და ის ხუთ წელზე მეტ ხანს დაყოვნდება, მისი ცოლი დაელოდება მას (განუსაზღვრელი ვადით); ის არ უნდა წავიდეს საცხოვრებლად სხვა ქმართან. (v 8) მაგრამ თუ ის ხუთი წლის დასრულებამდე სხვა ქმართან ერთად იცხოვრებს და შვილებს (მეორე ქმართან) გააჩენს, რადგან არ დაელოდა შეთანხმების შესაბამისად და გათხოვდა სხვაზე, მისი (პირველი) ქმარი დაბრუნებისთანავე წაიყვანს მას და ასევე მის შვილებსაც.

³³ აქ ზუსტად არ ჩანს, მაგრამ სავარაუდოდ მამის სურვილით ქალს ათხოვებენ მამამთილზე. მამამთილზე დაქორწინებით, ქვრივი რჩებოდა გარდაცვლილი ქმრის ოჯახში და ოჯახის ქონება არ გადიოდა სხვა გვარში. ან მეორე მხეზიც შეიძლება ყოფილიყო, ქვრივის უზრუნველყოფა – მამამთილი იღებდა პასუხისმგებლობას ქვრივის კეთილდღეობაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავდა საკუთარი ვაჟები, რომლებიც მასზე იზრუნებდნენ.

³⁴ = თემის ფარგლებს გარეთ, საზღვარგარეთ, უცხოეთში.

³⁵ = ქმრის ერთგული უნდა იყოს.

³⁶ = ვერ დაიბრუნებს.

³⁷ ანუ პირველი ქმრისგან გათავისუფლებულია და ეკუთვნის მეორე ქმარს.

37. (v 15-19). თუკი კაცი ცოლთან გაყრას აპირებს, თუ მისი სურვილი იქნება, რაღაცას მისცემს; თუკი არ იქნება მისი სურვილი, ის არაფერს მისცემს და ის (ცოლი) წავა ხელცარიელი.

38. (v 20-25). თუკი ქალი საკუთარი მამის სახლში ცხოვრობს და მას ქმარი გაეყრება, ქმარმა უნდა აიღოს ის ძვირფასეულობა, რომელიც თავად უბოძა მას; მას არ ექნება პრეტენზია იმ საქორწინო ძღვენზე, რომელიც მან მიიტანა (მისი მამის სახლში), ეს ქალისთვის ცხადია.

39. (v 26-41). თუკი კაცი გაათხოვებს ქალს, რომელიც მისი საკუთარი ქალიშვილი არ არის, – ვინაიდან ადრე მამამისი მოვალე იყო და ის (ქალი) გირავნობის პირობით იყო კრედიტორთან – და თუ პირველი კრედიტორი გამოჩნდება, მას (პირველ კრედიტორს) სრულად უნდა გადაუხადოს ქალის საფასური იმ კაცმა, ვინც ქალი გაათხოვა; თუ მას არაფერი აქვს მისაცემი, მაშინ მას (პირველ კრედიტორს) შეუძლია აიყვანოს ის კაცი, ვინც ქალი გაათხოვა. თუ ქალი გადაურჩა რაიმე უბედურებას (კრედიტორის სახლში), ის თავისუფალია თავისი მხსნელისთვის. და თუ ის კაცი, ვინც ქალზე დაქორწინდება, ფირფიტაზე ჩაიწერს³⁸ [...], ან მათ აქვთ მის მიმართ რაიმე პრეტენზია, მან უნდა [გადაიხადოს] ქალის საფასური, ხოლო ის, ვინც (ქალს) ათხოვებს [თავისუფალია].

40. (v 42-106). კაცის ცოლები, ან [ქვრივები] ან ნებისმიერი [ასურელი] ქალი, რომლებიც გამოდიან მთავარ გზაზე, [არ უნდა ჰქონდეთ] თავი [დაუფარავი]. კაცის ქალიშვილები [...] ან ...-ქსოვილით, ან სამოსით [...] (თავ)დაფარულნი უნდა იყვნენ, [...] მათი თავი [...] როდესაც ისინი [...] დღისით მთავარ გზაზე დადიან, (თავ)დაფარული უნდა იყვნენ. ხარჭა, რომელიც თავის ქალბატონთან ერთად მთავარ გზაზე დადის, (თავ)დაფარული უნდა იყოს. გათხოვილი ქურუმის ცოლი³⁹ (როდესაც დადის) მთავარ გზაზე უნდა იყოს (თავ)დაფარული, გაუთხოვარი კი მთავარ გზაზე თავშიშველი უნდა იყოს, არ დაიფაროს. მეძავი არ უნდა იყოს (თავ)დაფარული, თავშიშველი უნდა იყოს. (v 68) ვინც დაინახავს (თავ)დაფარულ მეძავს, უნდა შეიპყროს იგი, მოიხმოს მოწმეები და მიიყვანოს სასახლის შესასვლელთან. მას სამკაულები არ უნდა წაართვან, მაგრამ ის ვინც მას შეიპყრობს, მის ტანსაცმელს აიღებს. ის (მეძავი) 50-ჯერ უნდა გაჯოხონ და თავზე ცხელი ფისი უნდა გადაასხან. (v 77) თუკი კაცი დაინახავს (თავ)დაფარულ მეძავს, გაუშვებს მას და არ მიიყვანს სასახლის შესასვლელთან, (კაცი) 50-ჯერ უნდა გაჯოხონ, დამსმენი წაიღებს მის ტანსაცმელს; მას უნდა გაუხვრიტონ ყურები, თოკი გაუყარონ და ზურგზე შეუკრან, ასევე მთელი ერთი თვე სამეფო სამუშაოს შეასრულებს. (v 88) მონა ქალებმა არ უნდა დაიფარონ და ვინც დაინახავს თავდაფარულ მონა ქალს, უნდა შეიპყროს და სასახლის შესასვლელთან მიიყვანოს. მას უნდა მოაჭრან ყურები. ვინც შეიპყრო, ის წაიღებს მის ტანსაცმელს. თუკი კაცი დაინახავს თავდაფარულ მონა ქალს და გაუშვებს, არ შეიპყრობს მას და არ მიიყვანს სასახლის შესასვლელთან, და მას დაუმტკიცებენ მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალს და დამნაშავედ სცნობენ, 50-ჯერ უნდა გაჯოხონ. უნდა გაუხვრიტონ ყურები, თოკი გაუყარონ და ზურგზე შეუკრან, დამსმენი წაიღებს მის ტანსაცმელს; ხოლო ის (დამნაშავე) მთელი ერთი თვე სამეფო სამუშაოს შეასრულებს.

41. (vi 1-13). თუკი კაცი თავისი ხარჭის⁴⁰ დაფარვას გადაწყვეტს, მან უნდა შეკრიბოს ხუთი ან ექვსი თანამოაზრე⁴¹, მათი თანდასწრებით უნდა დაფაროს და გამოაცხადოს: „ის ჩემი

³⁸ ანუ დოკუმენტს შეადგენს.

³⁹ qadištu, qadiltu (NU.GIG) – ქურუმის ცოლი, ქალის განსაკუთრებული/სპეციალური სტატუსი.

⁴⁰ esirtu – ხარჭა.

⁴¹ tappū (tappā-) – პარტნიორი, დამხმარე, მშველელი, თანამოაზრე.

ასუთუ-ცოლია”.⁴² (ამის შემდეგ) ის მისი ასუთუ-ცოლი იქნება. ხარჭა, რომელიც ხალხის წინაშე არ იქნება დაფარული, რომლის ქმარსაც არ უთქვამს: „ის ჩემი ასუთუ-ცოლია“, ის მისი ასუთუ-ცოლი არ იქნება, ის ნამდვილად ხარჭაა. თუ კაცი გარდაიცვლება და ვაჟები არ ჰყავს, მისი დაფარული ცოლის – ხარჭის ვაჟები მისი ვაჟები იქნებიან; მათ (თითოეულმა) სამკვიდრო წილი უნდა მიიღოს.

42. (vi 14-18). თუკი კაცი დღესასწაულზე თავისუფალი წრის ქალს თავზე ზეთს ცხებს, ან ნადიმზე კერძებს მიიტანს, (საჩუქრებს) უკან ვერ დაიბრუნებს.

43. (vi 19-39). თუკი კაცი (ქალს) თავზე ზეთს ცხებს ან ნადიმზე (კერძებს) მიიტანს, (რის შემდეგაც) მისი ვაჟი, რომელსაც ცოლი დაუნიშნა, ან მოკვდება, ან გაიქცევა, მან ის (ქალი) ცოლად უნდა მისცეს თავის დარჩენილ ვაჟებს შორის რომელსაც მოისურვებს მას, უფროსიდან უმცროსამდე, სულ მცირე ათი წლის ასაკისას. თუ მამა გარდაიცვლება და ასევე ვაჟიც, რომელსაც ცოლი დაუნიშნა, გარდაცვლილი ვაჟის ვაჟი, რომელიც მინიმუმ ათი წლისაა, მასზე უნდა დაქორწინდეს. (VI 31) თუკი (გარდაცვლილი) ვაჟის ვაჟები ათ წელზე ნაკლები ასაკის არიან, თუ ქალიშვილის მამა მოისურვებს, თავის ქალიშვილს (მათგან ერთზე) გაათხოვებს; მაგრამ თუ სურს, (მიცემული საჩუქრები) უნდა დააბრუნოს სრულად და თანაბრად.⁴³ თუ ვაჟი არ არის, მან უნდა დაუბრუნოს იმდენი, რამდენიც მიიღო – ძვირფასი ქვები ან რაიმე არასაკვები⁴⁴ მთლიანად ყველაფერი, ხოლო საკვები არ უნდა დააბრუნოს.

44. (vi 40-45). თუკი ასურელი კაცი ან ასურელი ქალი, რომელიც ცხოვრობს კაცის სახლში ვალის სანაცვლოდ გირაოს სახით მისი ღირებულების შესაბამისად და ის აყვანილია სრული ღირებულებით,⁴⁵ მას (დამგირავებელს) შეუძლია სცემოს, თმებით ათრიოს, დაასახიჩროს ან ყურები გაუხვრიტოს.

45. (vi 46-88). თუკი ქალი გათხოვდება და შემდეგ მის ქმარს მტერი დაატყვევებს და მას არც მამამთილი ჰყავს და არც ვაჟი, ის რჩება ქმრის (ერთგული) ორი წლის განმავლობაში. ამ ორი წლის განმავლობაში, თუ მას საზრდო არ ექნება, უნდა გამოვიდეს და განაცხადოს. თუ ის არის სასახლეზე დამოკიდებული თემის მკვიდრი, მისმა [მამამ(?)] უნდა უზრუნველყოს იგი და მან (ქალმა) უნდა იმუშაოს მისთვის. თუ ის არის] *ხუფშუ-ჯარისკაცის*⁴⁶ ცოლი, [...] უნდა უზრუნველყოს იგი [და მან უნდა იმუშაოს მისთვის]. (VI 58) მაგრამ [თუ ის არის ისეთი კაცის ცოლი(?), რომლის] ყანები და [სახლი არ არის საკმარისი მის სარჩენად], ის უნდა გამოვიდეს და განაცხადოს მსაჯულების წინაშე. „[არაფერი მაქვს] საჭმელად“; მოსამართლეებმა უნდა

⁴² assutu – ცოლის სტატუსია.

⁴³ „სრული და თანაბარი დაბრუნება“ გულისხმობს, რომ მას უკან უნდა დაუბრუნონ ყველა ის საჩუქარი, რა რაოდენობითა და ხარისხითაც ისინი თავდაპირველად იყო მიცემული. ანუ, რაც იყო გადაცემული, უკანაც ზუსტად იგივე რაოდენობისა და ღირებულების ნივთები უნდა დაუბრუნონ. ეს პუნქტი პატარძლის მამას აძლევს არჩევანის საშუალებას: ან დაელოდოს, სანამ სიძის ვაჟები გაიზრდებიან და ერთ-ერთ მათგანზე გაათხოვოს ქალიშვილი, ან მოითხოვოს უკან ყველა ის საჩუქარი, რაც მანამდე გადასცა. „სრული და თანაბარი დაბრუნება“ კი უზრუნველყოფს, რომ მას არანაირი ფინანსური ზარალი არ მიადგეს ამ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

⁴⁴ ანუ ყველაფერი რაც საკვები არ არის.

⁴⁵ ანუ, მისი გირავნობის ღირებულება არ აღემატება ვალის ოდენობას.

⁴⁶ *hupšu* – დაბალი სოციალური წრის ერთ-ერთი წევრი; ხშირად წინ უძღვის LU-ს, ზოგჯერ ERIM-ს.

დაკითხონ ქალაქის თავი⁴⁷ და დიდებულები,⁴⁸ რათა დადგინდეს ამ ქალაქის მინდვრის ამჟამინდელი საზაზრო ფასი(?): ისინი გამოუყოფენ და მისცემენ მას მინდორსა და სახლს ორი წლის განმავლობაში მის უზრუნველსაყოფად: იგი იცხოვრებს (იმ სახლში) და ისინი დაუწერენ მას ფირფიტას (ორი წლის განმავლობაში დარჩენის ნებართვით). მან უნდა გაატაროს ორი სრული წელი, შემდეგ კი შეუძლია წავიდეს საცხოვრებლად მის მიერ არჩეულ ქმართან; ისინი დაუწერენ მას ფირფიტას, როგორც ქვრივს. (VI 72) თუკი მოგვიანებით დაკარგული ქმარი დაბრუნდება ქვეყანაში, მან უნდა დაიბრუნოს ცოლი, რომელიც ოჯახის გარეთ გათხოვდა; მას არავითარი უფლება არ ექნება შემდეგ ქმართან გაჩენილ ვაჟებზე, მეორე ქმარი წაიყვანს მათ (შვილებს). (ხოლო) მინდორი და სახლი, რომელიც მან (ქალმა) ოჯახის გარეთ გაყიდა სრულ ფასში თავის შესანახად, თუ ის არ იქნება სამეფო საკუთრება(?), (ქმარს) შეუძლია რამდენიც იყო მიცემული იგივე ფასად გამოისყიდოს და დაიბრუნოს. (VI 85) მაგრამ თუ ის არ დაბრუნდება, სხვა ქვეყანაში გარდაიცვლება, მაშინ მეფე მინდორსა და სახლს სადაც მოისურვებს იქ მისცემს.

46. (vi 89-112). თუკი ქალი, რომელსაც ქმარი გარდაეცვლება და ქმრის გარდაცვალების შემდეგ სახლიდან არ გადადის, თუ ქმარს (სიცოცხლეში) წერილობით არაფერი დაუწერია,⁴⁹ ის იცხოვრებს თავისი (ერთ-ერთი) ვაჟის სახლში, რომელსაც ის აირჩევს; მისი ქმრის ვაჟებმა (ყველამ) უნდა იზრუნონ მასზე, დადებენ ხელშეკრულებას, რომ როგორც საყვარელ რძალს, მას საკვებითა და სასმელით უზრუნველყოფენ. (vi 99) თუ ის მეორე ცოლია და საკუთარი ვაჟი არ ჰყავს, მაშინ შეუძლია იცხოვროს ერთთან (ქმრის ვაჟებიდან) და ისინი მას უზრუნველყოფენ. (vi 103) თუ მას ჰყავს ვაჟები და წინა ცოლის ვაჟები არ დაეთანხმებიან მის უზრუნველყოფას, მან უნდა იცხოვროს საკუთარი (ერთ-ერთი) ვაჟის სახლში, რომელსაც ის აირჩევს. მისი ვაჟები უზრუნველყოფენ მას და ის მათ მოემსახურება. და თუ მისი ქმრის ვაჟებს შორის არის ისეთი, ვისაც მასზე დაქორწინება სურს, [ის უზრუნველყოფს მას; მაშინ მის საკუთარ ვაჟებს] არ მოუწევთ მისი უზრუნველყოფა.

47. (vii 1-31). თუკი კაცი ან ქალი ჯადოქრობას ჩაიდენს, ბრალს დაუმტკიცებენ და დამნაშავედ ცნობენ, ჯადოქრობის ჩამდენი უნდა მოკვდეს. კაცი, რომელმაც თვითმხილველისგან გაიგო ჯადოქრობის შესახებ, რომელმაც უთხრა მას: „მე თვითონ ვნახე ეს“, ეს მოწმე უნდა წავიდეს და შეატყობინოს მეფეს. (vii 14) თუ თვითმხილველი უარყოფს იმას, რასაც ის აცნობებს მეფეს, მან (ანუ მოწმემ) ღვთაებრივი ხარის – შამაშის ძის წინაშე უნდა განაცხადოს: „ვფიცავ, მან ეს მითხრა“ – და ის გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. თვითმხილველს კი, რომელმაც თქვა და შემდეგ უარყო (მეფესთან), მეფე დაკითხავს მას, როგორც ჩათვლის საჭიროდ, რათა დადგინდეს მისი განზრახვა; ქურუმი განწმენდს და აიძულებს კაცს (მნახველს) თქვას, შემდეგ კი თვითონ (ქურუმი) იტყვის შემდეგ: „არავინ გაგათავისუფლებს იმ ფიცისგან, რომელიც დადე მეფისა და მის ძის წინაშე. შენ ხარ შეკრული ფიცის იმ სიტყვებით, რომლითაც დაიფიცე მეფე და მისი ძე.“

48. (vii 32-52). თუკი კაცს სურს გაათხოვოს მისი მოვალის ქალიშვილი, რომელიც მის სახლში გირაოდ იმყოფება, მან უნდა სთხოვოს მის მამას ნებართვა და შემდეგ შეუძლია გაათხოვოს. თუ მამამისი არ დათანხმდება, არ გაათხოვებს. თუ მისი მამა გარდაცვლილია, ის ნებართვას სთხოვს მის ერთ-ერთ ძმას და ეს (უკანასკნელი) კი ჰკითხავს მის (სხვა) ძმებს. თუ

⁴⁷ hazannu (haziānu, haziannu, haziānnu) – ქალაქის თავი, უფროსი, მერი, ბურგომისტრი.

⁴⁸ rabû, rabû – დიდებული, პირველი რანგის პირი, მთავარი, უფროსი.

⁴⁹ ანუ ანდერძი.

ერთი (რომელიმე) ძმა იტყვის: „გამოვიხსნი ჩემს დას ერთ თვეში“ და თუ ის არ გამოისყიდის (დას) ერთი თვის განმავლობაში, (მაშინ) კრედიტორს შეუძლია სურვილისამებრ გაათავისუფლოს ის (ქალი) ვალისგან და გაათხოვოს. [...] შესაბამისად [...] მისცემს მას [...].

49. (vii 53-62). [...] როგორც ძმა[...]. და თუ მეძავი მოკვდა, რადგან (?) მისი ძმები ასე განაცხადეს, [...] მათ უნდა გაიყონ წილები [(?)] დედის ძმებთან(?).

50. (vii 63-81). [თუკი კაცი სხვა კაცის ცოლს] დაარტყამს და მუცელს მოუშლის, [...] კაცის ცოლი [...] და მას უნდა მოექცნენ ისე, როგორც ის მოექცა მას; მან სრულად უნდა ზღოს სიცოცხლე მისი ნაყოფისთვის.⁵⁰ და თუ ის ქალი გარდაიცვლება, ის კაცი (მუცლის მომშლელი) უნდა მოკვდეს. მან მისი ნაყოფისთვის სიცოცხლით უნდა ზღოს. და თუ (დაზარალებული) ქალის ქმარს ვაჟი არ ჰყავს, და (კაცი) დაარტყამს მის ცოლს და მუცელს მოუშლის, თავდამსხმელი მისი ნაყოფის საზღაურად უნდა მოკლან. თუ მისი ნაყოფი მდებარეობითი სქესის იყო, მან მაინც უნდა ზღოს სიცოცხლე (სიცოცხლით).

51. (vii 82-86). თუკი კაცი სხვა მამაკაცის ცოლს, რომელიც შვილებს არ ზრდის, დაარტყამს და მუცელს მოუშლის, სასჯელი ასეთია: მან (დამნაშავემ) 2 *მინა* კალა უნდა გადაიხადოს.

52. (vii 87-91). თუკი კაცი მეძავს დაარტყამს და მუცელს მოუშლის, დარტყმისთვის უნდა დაარტყან და მან სრულად უნდა ზღოს სიცოცხლე (სიცოცხლით).

53. (vii 92-108). თუკი ქალი ნაყოფს თავისივე მოქმედებით მოიშლის და შემდეგ დაამტკიცებენ მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას და დამნაშავედ ცნობენ, სარზე უნდა გასვან და არ უნდა დამარხოვ. თუ ის მუცლის მოშლის შედეგად გარდაიცვლება, (მაინც) უნდა გასვან სარზე და არ უნდა დამარხოვ. თუ რომელიმე პირი ამ ქალს მუცლის მოშლის დროს დამალავს [...].

54. (vii 109-viii 5). [თუკი ...] მონა ქალი [...].

55. (viii 6-41). თუკი კაცი ქალწულს, რომელიც მამის სახლში ცხოვრობს, [...] რომელიც არ არის დანიშნული(?), რომლის [საშვილოსნო(?)] არ არის გახსნილი,⁵¹ რომელიც არ არის გათხოვილი, და რომლის მამის სახლის მიმართ არ არსებობს გადაუხდელობის მოთხოვნა,⁵² ძალით მოიტაცებს და ნამუსს ახდის ქალაქში თუ სოფელში, ღამით თუ დღისით, მთავარ გზაზე თუ სასახლეში, თუ ქალაქის დღესასწაულზე, (მაშინ) ქალწულის მამამ უნდა წაიყვანოს ნამუსის ამხდელის ცოლი და გააუპატიუროს. ის არ დაუბრუნებს მას ქმარს, შეუძლია თან ჰყავდეს. მამა თავის (ნამუსახდილ) ქალიშვილს კი ნამუსის ამხდელს მიათხოვებს. თუ მას

⁵⁰ = სიცოცხლე სიცოცხლისათვის.

⁵¹ არ დაწყებია მენსტრუაციული ციკლი.

⁵² ფრაზა „რომლის მამის სახლის მიმართ არ არსებობს გადაუხდელობის მოთხოვნა“ გულისხმობს, რომ ქალწულის მამის მიმართ არ არსებობს რაიმე სახის ვალი, ფინანსური ვალდებულება ან სხვა სახის სამართლებრივი პრეტენზია, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დაფარული ან მოგვარებული. ეს პირობა, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ რა სასჯელი დაეკისრება გამაუპატიურებელს და რა უფლებები ექნება ქალწულის მამას. შესაძლოა, თუ მამის მიმართ არსებობდა გადაუხდელობის მოთხოვნა, ეს გარკვეულწილად შეამცირებდა მის უფლებებს ან გავლენას სასამართლო პროცესზე. მარტივად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს, რომ ქალწულის მამა ფინანსურად და სამართლებრივად „სუფთაა“ იმ მომენტისთვის, როდესაც მისი ქალიშვილი გააუპატიურეს. ამიტომ, მას აქვს სრული უფლება, მოითხოვოს სამართლიანი ანგარიშსწორება.

(ნამუსის ამხდელს) ცოლი არ ჰყავს, ნამუსის ამხდელმა ქალიშვილის ღირებულების „სამმაგი“ ვერცხლი უნდა მისცეს მამას: ნამუსის ამხდელმა ნამუსახდილი ქალი ცოლად უნდა შეირთოს, ის უარს ვერ იტყვის ამაზე. თუ მამას ეს არ სურს, ქალწულის ღირებულების „სამმაგ“ ვერცხლს მიიღებს და თავის ქალიშვილს ცოლად იმას მისცემს ვისაც მოისურვებს.

56. (viii 42-49). თუკი ქალწული თავისი სურვილით დანებდება კაცს, კაცმა უნდა დაიფიცოს; და მის ცოლს ხელს არ ახლებენ. ნამუსის ამხდელმა ქალწულის ღირებულების „სამმაგი“ ვერცხლი უნდა გადაიხადოს. მამა ისე მოექცევა თავის ქალიშვილს, როგორც თავად გადაწყვეტს.

57. (viii 50-53). იქნება ეს ცემა თუ [...] კაცის ცოლისადმი [...] ეს რაც] ჩაწერილია ფირფიტაზე [...].

58. (viii 54-57). ყველა დასჯადი დანაშაულისთვის [...] მოკვეთა [...] და [...].

59. (viii 58-62). გარდა [კაცის ცოლისადმი] დაწესებული იმ სასჯელებისა, რომლებიც ფირფიტაზეა [დაწერილი], კაცს შეუძლია [გაჯიხოს] თავისი ცოლი, თმებით ათრიოს,⁵³ ყურები მოაჭრას ან დაარტყას და ამისთვის არ დაისჯება.

(viii 64-65). თვე II, დღე 2, ეპონიმი საგიუ.⁵⁴

MAL B

1. (ii 1-14). თუკი ძმები გაიყოფენ მამის ქონებას, ბალებს [და ჭებს] მიწის ნაკვეთში [...], უფროსმა ვაჟმა უნდა აირჩიოს და აიღოს ორმაგი წილი, ხოლო მისმა ძმებმა უნდა აირჩიონ და

⁵³ ან დააგლიჯოს თმები.

⁵⁴ ეპონიმი – პირი, რომლის სახელისაგან წარმოდგება ხალხის, ადგილის და მისთ. სახელწოდება. ანუ ეპონიმი არის ადამიანი (ხშირად მაღალი რანგის მოხელე), რომლის სახელიც ეწოდება კონკრეტულ პერიოდს, მაგალითად, წელს. ძველ ასურეთში (და სხვა ძველ ცივილიზაციებშიც) არ არსებობდა ჩვენთვის ცნობილი წელთაღრიცხვის ერთიანი სისტემა, როგორცაა ჩვენი წელთაღრიცხვა ქრისტეს შობიდან. სამაგიეროდ, ისინი დროის აღსანიშნავად იყენებდნენ ეპონიმების სისტემას. ასურელები ყოველ წელს ირჩევდნენ მაღალი რანგის მოხელეს, რომელსაც ლიმმუს უწოდებდნენ. ეს იყო ძალიან საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობა. მიუხედავად იმისა, რომ არჩევა წილისყრით ხდებოდა, სავარაუდოდ, არსებობდა შეზღუდული ჯგუფი, მაგალითად, ყველაზე გამოჩენილი ოჯახების მამაკაცები ან, შესაძლოა, ქალაქის კრების წევრები. ასურელები ამ წლისთვის არჩეული ლიმმუს სახელს ოფიციალურ დოკუმენტებზე წლის აღსანიშნავად იყენებდნენ. ლიმმუსთა სიები აღმოჩენილია, რომლებიც მოიცავს ყოველ წელს ძვ. წ. 892 წლიდან ძვ. წ. 648 წლამდე.

ლიმმუს სახელი ხდებოდა იმ კონკრეტული წლის „ეპონიმი“. ანუ, ამ წელს მოიხსენიებდნენ როგორც „იმის წლის“, ვისაც ლიმმუს თანამდებობა ეკავა. ასურულ დოკუმენტებში თარიღის მითითებისას ხშირად წერდნენ „თვე X, დღე Y, ეპონიმი – [ლიმმუს სახელი]“.

„საგიუ“ სწორედ ასეთი ცნობილი და გავლენიანი ადამიანი იყო ძველ ასურეთში, რომლის სახელიც მის ეპონიმობის წელს ეწოდა. ამრიგად, ფრაზა „ეპონიმი საგიუ“ ნიშნავს იმ წელს, როდესაც საგიუ იყო ლიმმუს და მისი სახელი ეწოდა იმ კონკრეტულ წელს. ეს სისტემა ეხმარებოდათ ასურელებს დროის კოორდინაციაში, მნიშვნელოვანი მოვლენების დათარიღებაში და ისტორიული ჩანაწერების წარმოებაში.

ძველი ასურული პერიოდის განმავლობაში, მეფე თავად არასოდეს ყოფილა ლიმმუს. თუმცა, შუა ასურულ და ახალასურულ პერიოდებში მეფეს შეეძლო ამ თანამდებობის დაკავება.

აიღონ წილები ერთმანეთის შემდეგ; უმცროსი ვაჟია ის, ვინც ანაწილებს ყველა *siluglu*-პერსონალს, რომელიც არის და ყველა მასთან დაკავშირებულ აღჭურვილობას მინდორში; უფროსმა ვაჟმა უნდა აირჩიოს და აიღოს ერთი წილი, ხოლო თავისი მეორე წილისთვის თავის ძმებთან ერთად წილი უნდა ყაროს.

2. (ii 15-21). თუკი კაცი, რომელსაც ჯერ არ მიუღია თავისი სამკვიდრო წილი, სიცოცხლეს წაართმევს ვინმეს, ის უნდა გადასცენ უახლოეს ნათესავს. თუ უახლოესი ნათესავი მოისურვებს, მას შეუძლია მოკლას იგი, ან, თუ მორიგებას გადაწყვეტს, მაშინ მიიღებს მის სამკვიდრო წილს.

3. (ii 22-26). თუკი კაცი, რომელსაც ჯერ არ მიუღია თავისი სამკვიდრო წილი, სახელმწიფო ღალატს ჩაიდენს ან გაიქცევა, მისი სამკვიდრო წილის განაწილებას მეფე განსაზღვრავს.

4. (ii 27-38). თუკი ძმები ფლობენ გაუნაწილებელ მინდორს, და ერთ-ერთი ძმა მათ შორის [...] თესავს თესლს [...] ამუშავებს მინდორს, [და მეორე ძმა] შემდეგ მოდის და მეორედ [იღებს თესლს] თავისი ძმის ნათესიდან [...], დაამტკიცებენ მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას და დამნაშავედ სცნობენ მას – [იმ დღეს, როდესაც ის თავად] გამოცხადდება. [ის ძმა], რომელმაც დაამუშავა [მინდორი], მიიღებს [თავის სამკვიდრო წილს].

5. (ii 39-46). [თუკი ძმები ფლობენ] გაუნაწილებელ [მინდორს, და ერთი ძმა] მათ შორის [...].

6. (iii 1-51). [თუკი ...] კაცი აპირებს შეიძინოს [მინდორი ან სახლი ...]: სანამ ის შეიძენს მინდორს ან სახლს, მან უნდა უბრძანოს მაცნეს, გამოაცხადოს სამჯერ ერთი სრული თვის განმავლობაში ასურის ქალაქში, და ასევე უნდა უბრძანოს მას, გამოაცხადოს სამჯერ იმ ქალაქში, სადაც მდებარეობს მინდორი ან სახლი, რომლის შეძენასაც აპირებს, შემდეგნაირად: „მე ვაპირებ შევიძინო მინდორი ან სახლი ამ ქალაქის საერთო სარწყავ მიწებზე, რომელიც ეკუთვნის ამა და ამას, ამა და ამის შვილს. ყველა, ვისაც აქვს ამ ქონების შეძენის უფლება ან ვინც ეწინააღმდეგება ამ გადაცემას, წარადგინოს თავისი ფირფიტები მოხელეების წინაშე, დაე, გაასაჩივრონ [ეს შესყიდვა], დაე, გაასუფთაონ [ქონება სხვა პრეტენზიებისგან] და (ამის შემდეგ) დაე, მიიღონ იგი.⁵⁵ მათგან, ვინც ამ სრული თვის განმავლობაში წარადგენს თავის ფირფიტებს დათქმულ ვადაში მოხელეების წინაშე, ის კაცი (ვისი პრეტენზიაც წარმატებული იქნება) სრულად დაეუფლება თავისი მინდვრის ფართობს.“ (iii 28). როდესაც მაცნე თავის განცხადებას აკეთებს ასურის ქალაქში, სამეფო კარის ერთ-ერთი მოხელე, ქალაქის მწერალი, მაცნე და სამეფო მოხელეები უნდა იმყოფებოდნენ; იმ მინდვრის ან სახლის ქალაქის წარმომადგენლად, რომლის შეძენასაც აპირებს, ქალაქის თავი და სამი დიდგვაროვანი უნდა იმყოფებოდნენ; მათ ასევე უნდა უბრძანონ მაცნეს გააკეთოს განცხადება; ისინი დაწერენ თავიანთ ფირფიტებს და გადასცემენ (მყიდველს), შემდეგი სიტყვებით: „მაცნემ სამჯერ გააკეთა განცხადება ამ სრული თვის განმავლობაში. ვინც ამ სრული თვის განმავლობაში არ მოიტანა თავისი ფირფიტა და არ წარადგინა იგი მოხელეების წინაშე, კარგავს (ნებისმიერ პრეტენზიას) მინდორზე ან სახლზე; ის გასუფთავებულია იმ პირის სასარგებლოდ, ვინც მაცნეს განცხადების გაკეთება უბრძანა.“ სამი ფირფიტა, რომელსაც მოსამართლეები დაწერენ (იმ ფაქტის დასადასტურებლად), რომ მაცნემ გააკეთა განცხადება, ერთი [ფირფიტა] მოხელეებმა [...].

⁵⁵ ანუ შემდეგ დაეუფლონ.

7. (iv 1-10). [...] იმდენი, რამდენიც [...] ის მოითხოვს [...] და სახლის ფასი [...] მან დაანგრია [...]; მან უნდა მისცეს] სახლის მფლობელს [...] სახლის ღირებულების ორმაგი ოდენობა. 3600 შიკლი კალასთვის მას 5-ჯერ გაჯოხავენ; ის ერთი სრული თვის განმავლობაში შეასრულებს მეფის სამსახურს.

8. (iv 11-19). თუკი კაცი თავის საკუთრებაში შეიყვანს თავისი ამხანაგის (ქონების) დიდ სასაზღვრო ზოლს და მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას დაამტკიცებენ და დამნაშავედ სცნობენ, მან უნდა გასცეს იმის „სამმაგი“ ფართობის მინდორი, რაც მან მიითვისა; მას მოაჭრიან ერთ თითს; მას 100-ჯერ გაჯოხავენ; ის ერთი სრული თვის განმავლობაში შეასრულებს მეფის სამსახურს.

9. (iv 20-28). თუკი კაცი გადაადგილებს ნაკვეთების მცირე სასაზღვრო ზოლს და მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას დაამტკიცებენ და დამნაშავედ სცნობენ, მან უნდა გადაიხადოს 3600 შიკლი კალა; მან უნდა მისცეს იმის „სამმაგი“ ფართობის მინდორი, რაც მიითვისა; მას 50-ჯერ გაჯოხავენ; ის ერთი სრული თვის განმავლობაში შეასრულებს მეფის სამსახურს.

10. (iv 29-46). თუკი კაცი გათხრის ჭას და ააშენებს მუდმივ ნაგებობას სხვის მინდორში, ის დაკარგავს უფლებას თავის ჭაზე და თავის მუდმივ ნაგებობაზე; მას 30-ჯერ გაჯოხავენ; ის 20 დღის განმავლობაში შეასრულებს მეფის სამსახურს... [...] ... [...] მუდმივი ნაგებობა [...] ის დაიფიცებს: „[...]“ და გარდა ამისა: „მე ნამდვილად [გავთხარე] ჭა, მე [ნამდვილად ავაშენე] მუდმივი ნაგებობა.“ მინდვრის მფლობელი [...]... ჭა [...].

11. (v 1-12). [...] კრედიტორი [...] კრედიტორი [...] ფირფიტები [...] გაუმჯობესებები [...] მუშას [...] მინდორი ... [...] ის კრედიტორს მისცემს.

12. (v 13-18). თუკი კაცი დარგავს ბაღს, გათხრის ჭას ან გაახარებს ხეებს [თავისი ამხანაგის] კუთვნილ მინდორში, და მინდვრის მფლობელი ამას შეამჩნევს, მაგრამ არ [გააპროტესტებს], ბაღი რჩება დამრგველის სარგებლობაში; მან ბაღის მფლობელს ამ მინდვრის სანაცვლოდ სხვა მინდორი უნდა მისცეს.

13. (v 19-25). თუკი კაცი დარგავს ბაღს, ან გათხრის ჭას, ან გააშენებს ბოსტნულს ან ხეებს სხვის ნაკვეთზე, და მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას დაამტკიცებენ და დამნაშავედ სცნობენ, როდესაც მინდვრის მფლობელი გამოცხადდება, ის მიიღებს ბაღს თავისი (ახალი) ნარგავებითურთ.

14. (v 26-33). თუკი კაცი გათხრის (? ორმოს) და აგურებს დაამზადებს სხვის ნაკვეთზე, და მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას დაამტკიცებენ და დამნაშავედ სცნობენ, მან უნდა გასცეს ნაკვეთის „სამმაგი“ ფართობი; მას ჩამოართმევენ აგურებს; მას 50-ჯერ გაჯოხავენ; ის [x დღის] განმავლობაში შეასრულებს მეფის სამსახურს.⁵⁶

15. (v 34-38). [თუკი კაცი ...] და აგურებს დაამზადებს სხვის ნაკვეთზე, მას ჩამოართმევენ [მის აგურებს; მას] [x-ჯერ გაჯოხავენ]; ის შეასრულებს [მეფის სამსახურს x დღის განმავლობაში].

⁵⁶ შენიშვნა: კითხვის ნიშანი აღნიშნავს იმ ადგილებს, სადაც ტექსტი შესაძლოა დაზიანებული ან გაურკვეველია ორიგინალში. „x დღე“ მიუთითებს, რომ დღეების რაოდენობა ტექსტში არ არის მითითებული.

16. (vi 1). [თუკი ...] არ [...].

17. (vi 2-20). თუკი საერთო სარწყავ მიდამოში ჭებში საკმარისი წყალია სარწყავად, მინდვრების მფლობელები ერთად იმოქმედებენ; თითოეული ადამიანი შეასრულებს სამუშაოს თავისი მინდვრის ფართობის შესაბამისად და მორწყავს თავის მინდორს. მაგრამ თუ მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც შეთანხმებას არ ემორჩილებიან, მათ შორის ის, ვინც შეთანხმებას ემორჩილება, უნდა მიმართოს მოსამართლეებს; ის მიიღებს მოსამართლეებისგან ფირფიტას (=დადგენილებას) და შეასრულებს სამუშაოს; ის აიღებს ამ წყალს თავისთვის და მორწყავს თავის მინდორს; სხვას არავის აქვს უფლება მორწყოს (ამ წყლით).

18. (vi 21-vii 3). თუკი სარწყავად საკმარისი წვიმის წყალია, მინდვრების მფლობელები ერთად იმოქმედებენ; თითოეული ადამიანი შეასრულებს სამუშაოს თავისი მინდვრის ფართობის შესაბამისად და მორწყავს თავის მინდორს. მაგრამ თუ მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც შეთანხმებას არ ემორჩილებიან, მაშინ ის, ვინც შეთანხმებას ემორჩილება, უნდა წარუდგინოს მოსამართლეების ფირფიტა (=დადგენილება) მათ, ვინც შეთანხმებას არ ემორჩილება; ქალაქის თავი და ხუთი დიდგვაროვანი [უნდა იმყოფებოდნენ ... (გამოტოვება) ... ისინი] მას [x-ჯერ გაჯოხავენ⁵⁷]; ის შეასრულებს [მეფის სამსახურს x დღის განმავლობაში].

19. (vii 4-17). თუკი კაცი აპირებს თავისი ამხანაგის მინდვრის დამუშავებას, [და ...] შეუშალა (?) ხელი, [... მან დაიფიცა] მისთვის მეფის სახელით და დაამუშავა იგი. [თუ ...] ის გამოცხადდება, მინდვრის დამამუშავებელმა მოსავლის ალების დროს უნდა მომკას და გაცეცხლოს⁵⁸ [მარცვლეული], მან უნდა შეინახოს [მარცვლეული] საწყობში, [... და] მან უნდა დააბრუნოს [ნამჯა (?) ბელელში; ქალაქის მინდვრის მოსავლიანობის შესაბამისად, მან უნდა მისცეს ორი წილი მინდვრის [მფლობელს].

20. (vii 18-25). თუკი კაცი გათხრის [...] სხვის კუთვნილ მინდორში, შემოღობავს მას, დადგამს სასაზღვრო ქვას და იტყვის: [...“], და მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას დაუმტკიცებენ და დამნაშავედ სცნობენ. [...].

MAL C + G

1. (obv. 1-7). [...] მათი მფლობელი [...] და თუ მყიდველი [აცხადებს, „...“] რომელიც მე გამოვისყიდე [...],“ მან უნდა გადასცეს მონა x შიკლ კალის ფასად და მონა ქალი 14 400 შიკლ კალად [...]; და თუ მიმღები აცხადებს. [...“]; მან უნდა დაიფიცოს ღმერთის წინაშე და იმდენი, რამდენიც [...] უნდა აიღოს [...].

2. (8-13). [თუკი კაცი] მიჰყიდის სხვა კაცს [ან კაცის ვაჟს] ან კაცის ასულს, რომელიც ცხოვრობს [მის სახლში] ან ვერცხლის (ვალის?) გამო, ან როგორც [გირაოს], ან მიჰყიდის [ნებისმიერ სხვას], ვინც მის სახლში ცხოვრობს, [და ისინი მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას დაუმტკიცებენ], ის დაკარგავს თავის ვერცხლს; [...] ის მისცემს მის [...] ქონების მფლობელს; ის [x-ჯერ] უნდა გაჯოხონ; მან უნდა შეასრულოს მეფის სამსახური 20 დღის განმავლობაში.

⁵⁷ = გაწკეპლავენ, წნელებით სცემენ.

⁵⁸ მარცვლეულის გამოცეხვას, ანუ მარცვლის გამოყოფას ტაროდან ან სხვა ნაწილებიდან. ეს არის მოსავლის ალების შემდგომი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესი.

3. (14-21). [თუკი კაცი] გაყიდის უცხო ქვეყანაში [ან კაცის ვაჟს] ან კაცის ასულს, რომელიც [მის სახლში ცხოვრობს] ან ვერცხლის (ვალის?) გამო, ან როგორც გირაოს, და მას ზრალს დასდებენ და დამნაშავედ ცნობენ, მან უნდა დაკარგოს თავისი ვერცხლი; [...] მან უნდა მისცეს თავისი [...] ქონების მფლობელს; ის [x-ჯერ უნდა გაჯოხონ]; მან უნდა შეასრულოს მეფის სამსახური 40 დღის განმავლობაში. მაგრამ თუ კაცი, რომელიც მან გაყიდა, უცხო ქვეყანაში გარდაიცვლება, მან სრულად უნდა გადაიხადოს სიცოცხლის საფასური. მას შეუძლია უცხო ქვეყანაში გაყიდოს ასურელი კაცი ან ასურელი ქალი, რომელიც სრულ ფასად იყვნენ წაყვანილნი (ანუ, გირაოს ღირებულება არ აღემატება ვალის ღირებულებას).

4. (22-27). [თუკი კაცი] გაყიდის [ხარს, ან] ვირს, ან ცხენს, ან სხვა ნებისმიერ ცხოველს, რომელიც მისი საკუთრება არ არის და მის სახლში გირაოდ იყო, [...] მან უნდა მისცეს [სხვა ცხოველი], ვერცხლს ვერ დაუბრუნებს. თუ [სხვა ცხოველს არ მისცემს], (მაშინ) დაკარგავს თავის ვერცხლს. ქონების მფლობელს [რომლის ცხოველიც იმ კაცის სახლში იყო], შეუძლია დაიბრუნოს თავისი ცხოველი; ცხოველის მყიდველმა [უნდა ...] თავისი ვერცხლი გამყიდველისგან [...].

5. (28-32). [თუკი კაცი მოიპარავს(?)] მდელოდან ხარს, ან ვირს, ან ცხენს, ან სხვა ცხოველს, რომელიც მისი საკუთრება არ არის, და შემდეგ მიჰყიდის მას სხვა კაცს არსებულ ფასად, და მყიდველმა არ იცის (რომ ეს მოპარულია) და ის გადაუხდის კაცს არსებულ ფასს, გამყიდველმა უნდა დააბრუნოს მოპარული საქონელი, რამდენიც [...].

6a. (33-43). [თუკი კაცი ...] ან ცხოველი ან [...] და მოწმეები [...] ამ ყველაფრის მფლობელი [...] შეიპყრობენ, ხოლო კაცი [...] ქონების მფლობელს თავის ქონება [...] ის აიღებს გამყიდველისგან და [...] რაც მან აიღო, და მის ხელში [...] იმ კაცის წინააღმდეგ, ვინც მას მისცა. [...] გამყიდველი არ უნდა [...] თავისი ქონების დაკარგვას [...] მან უნდა დაამტკიცოს ბრალდება [...].

6b. (G rev. 1-6). [თუკი ...] ის აიღებს და მყიდველი [...] ვერცხლის სანაცვლოდ [...] ორი(?) თხა(?) უნდა მისცეს ვერცხლის მფლობელს [...] ის მოვა და რაღაც, რაც [...] მას არ უნდა დაუპირისპირდეს [...].

7. (Grev. 7-13 + C rev. 1-2). [თუკი ...] ან სხვა რაიმე, რაც ასურელის სახლში გირაოს სახითაა [...] და სესხის ვადა ამოიწურება [...]; თუ ვერცხლის (ვალი) მისი ღირებულების ოდენობისაა [...]: თუ ვერცხლის (ვალი) მისი ღირებულების ოდენობის არაა [...] ის შეიმენს და აიღებს. [...] მან დატოვა, ვერცხლის ძირითადი თანხა [...] არ არის [...]

8. (C rev. 3-9). [თუკი კაცი მოიპარავს] ან [...], ან ცხოველს, ან სხვა რამეს, და დაამტკიცებენ მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას და დამნაშავედ სცნობენ, მან უნდა დააბრუნოს [მოპარული საქონელი]: ის 50-ჯერ უნდა გაჯოხონ; მან უნდა შეასრულოს [მეფის სამსახურის x დღის განმავლობაში]; მოსამართლეები ... გამოიტანენ ამ განაჩენს. [მაგრამ თუ ...] ის „მიადწევს“ [...] (ღირებულებით?), მან უნდა დააბრუნოს მოპარული საქონელი, იმდენი, რამდენიც მოიპარა, სრული ღირებულებით, რაც არ უნდა იყოს; მას დააკისრებენ მეფის მიერ დადგენილ სასჯელს.

9. (rev. 10-15). [თუკი კაცის ცოლი (ან: ვაჟი, ან: ქალიშვილი?)] ან მონა [...] -ს ვინმეს ანდობს რაიმე ძვირფასს [...] ის ინახება ოჯახის გარეთ [და კაცი], რომლის სახლშიც ნივთები ინახება,

არ აცნობებს [ქონების მფლობელს], რომ მის სახლში ჩააბარეს ქონება, და შემდეგ მის ხელში არსებულ ქონებას [მისი მფლობელი დაიბრუნებს]; ეს კაცი ქურდობაზე პასუხს აგებს.

10. (rev. 16-19). თუკი კაცი გაზრდის თავისი თანამოსაქმის [მინდობილი ქონების] ღირებულებას და დაამტკიცებენ მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას და დამნაშავედ სცნობენ, ეს კაცი [ქურდია]; და დააკისრებენ მას მეფის მიერ დადგენილ სასჯელს.⁵⁹

11. (rev. 20-26). თუკი კაცი გაზრდის (ღირებულებას) და ჩაწერს (გადამეტებულ ღირებულებას) [...] ამით კრედიტორები დაზარალდებიან და [ისინი დაამტკიცებენ ბრალდებას მის წინააღმდეგ] და დამნაშავედ ცნობენ, [...] რაც მან ჩაწერა: ის [x-ჯერ უნდა გაჯოხონ]; [...] კრედიტორების ხელში [...] მწერალი(?) [...].⁶⁰

MAL D

1. (1-6). [თუკი ...] კარიბჭის პასუხისმგებელი თანამდებობის პირს [...] უნდა განუცხადოს მას [...] - ... არა[...] ... მისმა მამამ უნდა განაცხადოს [. ..] მისი აზრით, მამა [...]

2. (7-8). [თუკი ...] მეფე [...].

MAL E

1. (1-10). [თუკი ... და დაამტკიცებენ მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას და დამნაშავედ სცნობენ, [...] რაც ...] მოიტანოს [...]; ის [x-ჯერ] უნდა გაჯოხონ; [...] 30 მანა⁶¹ კალა [...] დარჩენილი – 14 მანა⁶² [...] მთავრები, მსაჯულები [...] მან უნდა მოიტანოს, მეფის განცხადებით [...] ოჯახის გარეთ ვაჟის წინააღმდეგ [...] თავად მეფე [...].

2. (11-rev. 3). [თუკი ...] მისი [...] ის ურტყამს [...] მდე თავი(?) [...] შიკლი [...].

3. (rev. 4-9). [თუკი ...] ყველაფერი, იმდენი, რამდენიც [...] მიიღებს და თუ [...] -დან წაიღებს და [...] ის არ [...] მის ქირას ის არ [...] სამუშაოზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირი [...].

4. (rev. 10-15). [თუკი ...] ..., ვინც ასრულებს [...] მათ უნდა გააკეთონ [...] წინა კრედიტორი [...] კრედიტორი [...].

MAL F

⁵⁹ ეს ნიშნავს, რომ თუ ადამიანი გაზრდის იმ ქონების ღირებულებას, რომელიც მის თანამოსაქმეს აქვს მინდობილი (ანუ დროებით შესანახად ან გამოსაყენებლად აქვს მიცემული), და თუ სასამართლო დაადგენს, რომ მან ეს განზრახ გააკეთა მოტყუების მიზნით, მაშინ მას ქურდად ჩათვლიან და მეფის მიერ დადგენილ სასჯელს დააკისრებენ.

⁶⁰ ეს მუხლი აღწერს თაღლითობის შემთხვევას, როდესაც ადამიანი ხელოვნურად ზრდის რაღაცის ღირებულებას და ამას ოფიციალურად აღრიცხავს, რაც საბოლოოდ კრედიტორებს (იმ პირებს, ვისაც ფული ან სხვა რამ ეკუთვნის) აზარალებს.

⁶¹ = 1,800 შიკლი

⁶² = 840 შიკლი

1. (ii. 1-8). [თუკი ...] ცხვარი [...] და თუ [...] მისი ამხანაგის ცხვრის ფარაში [...] ის ცვლის ... [... დაარტყამენ] მას, ვინც წაიყვანა ცხვარი 100 [ჯოხს] და თმებს მოჭრიან; მთელი თვის განმავლობაში შეასრულებს მეფის სამსახურს; და ის ცხვრის ქურდობისთვის პასუხს აგებს.

2. (ii. 9-10). ცხენის მწყემსმა, რომელიც ცხენებს [უვლის] არ უნდა გასცეს [ცხენი] ვერცხლად [ან ...] მისი მფლობელის ნებართვის გარეშე. [...] არ უნდა [...] მისგან. ცხენის მწყემსი და მყიდველი [...] ცხოველი, რომელიც მან გაყიდა [...] უნდა დაუსახიჩრონ [სახე(?)].⁶³

3. (ii. 15-17). [თუკი ...] სასახლის [...].

MAL J

1. (obv. 1). [თუკი ...] ისინი აიღებენ.

2. (2-3). [თუკი ...] ის მორწყავს, [...] ის მორწყავს.

3. (4-7). [თუკი ...] სამი(?) კაცი ერთი კაცი [...] ქალაქის ... [...] არ არის [...] როცა (სარწყავი არხი?) გადაკეტილია(?) [...] შეასრულებს, აანაზღაურებენ.

4. (8-13). [თუკი ...] ისინი შეასრულებენ, მათი ერთი წლის განმავლობაში [...] იქნება [...] ... მეფის ორი qatinnu-პერსონალი [...] სამეფო დავალებისთვის [...] ისინი აანაზღაურებენ.

5. (rev. 1-4). [თუკი ...] ისინი იჯარით [...] ისინი იჯარით. [...] ... [...] მათ უნდა შეასრულონ.

6. (rev. 5-7). თუკი [...].

MAL K

1. (1-2). [...].

2. (3-6). [თუკი ...] მეფისგან, ის არ აიღებს [...] ვერცხლის წილებს, რომელიც დაკისრებული აქვს [...] ის არ მიიღებს [წილებს], წილებს [...]. მან არ უნდა მიიღოს [წილები], წილები [...].

3. (7-9). [თუკი ...] ვერცხლი იწარმოება; რაც არ უნდა კრედიტორმა [...] წილები?) მოიშოროს ან [...] ეს [...] ვერცხლი და მისი შესაბამისი [...].

MAL L

1. (1-4). [თუკი ...] მის წინააღმდეგ [...] მან არ უნდა მიიღოს [...].

2. (5-6). [თუკი ...] უცხოელზე [...] რომელიც მდებარეობს [...].

3. (7-9). [თუკი ...] მისი ქვეყნის მკვიდრია [...] ... [...] და დაამტკიცებენ მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას და დამნაშავედ სცნობენ [...] ... ის მასთან მორიგდება [...].

4. (10-12). [თუკი ...] მოსამართლე [...] მისი ვალი თავისი სახლის მიმართ [...] მოსამართლე, ის მოვალეა, ის არ დააკმაყოფილებს; თავისი მოწინააღმდეგის სასამართლოში [...]

⁶³ = დაუსერონ.

5. (13-15). [თუკი ...] ის დაიჭერს [...] საჩუქარს [...].

MAL M

1. (obv. 1-7). [თუკი ნავი დაიმკრება(?)] თავისით [და კაპიტანი(?) გასაფრთხილებლად] დაიძახებს: „გამიხსენით (გადასასვლელი),“⁶⁴ ნავი(?) [...] ჩაიძირება თუ გადაბრუნდება(?), მნიშვნელობა არ აქვს – ან იმ მეთაურმა (?), ვინც ის გაგზავნა, ან იმან, ვინც ნავს მართავდა (?), უნდა აღადგინოს ნავი მთელი თავისი აღჭურვილობით. მენავე, რომლის წინააღმდეგაც არ დაიფიცებენ მეფის სიცოცხლეზე (დაუდევრობაში დადანაშაულებით), უკან არ დაიხევს (ფიცის დადებისგან?).⁶⁵

2a. (8-14). თუკი ნავი ან დინებით ზემოდან მოცურავს, ან მოპირდაპირე ნაპირიდან გადმოცურავს, ან დაეჯახება სრულად დატვირთულ ნავს და ჩაძირავს, ან ნაპირზე მიბმულ ცარიელ ნავს დაეჯახება და [ჩაძირავს], რა აღჭურვილობაც დაიკარგება [...] დაჯახებული ნავი [...].

2b. (rev. 1-3). [...].

3. (rev. 4-13). თუკი კაცი მისცემს [...] სამოსს მრეცხავს გასარეცხად, სანამ ის მოგზაურობაშია, [...] და] (შემდეგ) მრეცხავი განაცხადებს: „ისინი დაიკარგა,“ მან უნდა დაუბრუნოს მას დაკარგული სამოსის ტოლფასი სამოსი, მისი თავდაპირველი ღირებულების შესაბამისად. მაგრამ თუ ცნობილი გახდება [...] რომ მან გაყიდა ისინი [და დაამტკიცებენ მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას და დამნაშავედ სცნობენ, [...] ისინი ამოიღებენ იმ კაცის [...] ქურდობა [...].

MAL N

1. (1-4). თუკი კაცი [...] სხვა კაცს ჩხუბის დროს ეტყვის: „შენ გმე (ღმერთი)“⁶⁶ და უფრო მეტიც, გაძარცვე ტაძარი,“ ის 40-ჯერ უნდა გაჯოხონ; ან x დღის განმავლობაში მეფის სამსახური უნდა შეასრულოს.

2. (5-10). თუკი კაცი [...] სხვა კაცს] ჩხუბის დროს ეტყვის: „შენ გმე (ღმერთი), [...] და უფრო მეტიც, გაძარცვე ტაძარი,“ [...] მაგრამ მას არ შეუძლია დაამტკიცოს წაყენებული ბრალდებები

⁶⁴ ანუ გასასვლელი გაუთავისუფლონ.

⁶⁵ ძველად, ფიცი მეფის სიცოცხლეზე უდიდეს სიმართლედ და გარანტიად ითვლებოდა. თუ ვინმე მზად არ იყო დაეფიცა მეფის სიცოცხლეზე კონკრეტული პიროვნების წინააღმდეგ (ამ შემთხვევაში, მენავის წინააღმდეგ), ეს ნიშნავდა, რომ მათ არ ჰქონდათ საკმარისი მტკიცებულება ან დარწმუნებულობა მის დანაშაულში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას დაუდევრობაში დამაჯერებლად ვერ ადანაშაულებდნენ. თუ არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც გამყარებულია მეფის სიცოცხლეზე დადებული ფიცით, რომ მენავემ დაუდევრობა ჩაიდინა, მაშინ მას არ მოუწევს უკან დახევა ან უარის თქმა ფიცის დადებაზე თავისი უდანაშაულობის დასადასტურებლად. სხვა სიტყვებით, მას არ აიძულებენ თავი დამნაშავედ ცნოს და აიღოს პასუხისმგებლობა ზარალზე, თუ მის წინააღმდეგ მყარი ბრალდება არ არსებობს, დადასტურებული საზეიმო ფიცით. მარტივად რომ ვთქვათ: თუ ვერავინ დაიფიცებს მეფის სიცოცხლეზე, რომ მენავემ დაუდევრობით დააზიანა ნავი, მაშინ მენავეს არ მოუწევს თავის გამართლება ან ზარალის ანაზღაურება. მას არ აიძულებენ დადოს ფიცი, რომელიც მის დანაშაულს აღიარებს.

⁶⁶ ანუ ღვთის გმობა, შეურაწყოფა მიაყენა ღვთაებას.

და ვერ დაამტკიცებს მათ, იმ კაცს [x-ჯერ გაჯობავენ; მან უნდა შეასრულოს მეფის სამსახური] სრული ერთი თვის განმავლობაში.

MAL O

1. (obv. col. i 1-2). [თუკი კაცი] გადაწყვეტს თავისი მემკვიდრეობის განაწილებას მისი ვაჟების სასარგებლოდ [...] მათ უნდა შეასრულონ.

2a. (obv. col. i 3-9). [თუკი კაცი ...] და უუნაროა [...] და ის არ განსაზღვრავს თავისი ოჯახის [განაწილებას ...] რასაც ისინი გააკეთებენ [...].

2b. (col. ii 1-7). [თუკი ...] დღეები [...] სახლები, რომლებიც [...] მონები, ისინი გაიყოფენ [...] და ბაღები [...] მოგვიანებით ეს [...] ფირფიტები, რომლებიც [...] და იმდენი მოწმე [...].

3. (obv. col. ii 8-13). თუკი ძმები [გაიყოფენ] მამის მამულს, ბაღებსა და ჭებს მიწის ნაკვეთზე [...], უფროსმა ვაჟმა უნდა აირჩიოს და აიღოს ორმაგი წილი, ხოლო მისმა ძმებმა უნდა აირჩიონ და აიღონ წილები ერთმანეთის მიყოლებით: უმცროსი ვაჟია ის, ვინც ანაწილებს ყველა *siluglu*-პერსონალს, რომელიც არის და მასთან დაკავშირებულ აღჭურვილობას [მინდორში].

4. (rev. col. i 1-3). თუკი მფლობელი [...] მათი წყლის [...] ისინი მოითხოვენ და მისცემენ [...].

5. (rev. col. i 4-11). თუკი არხებში საერთო სარწყავ ფართობზე, ჭებში სარწყავად საკმარისი წყალია, მინდვრის მფლობელები ერთობლივად იმოქმედებენ; თითოეულმა ადამიანმა უნდა შეასრულოს სამუშაო თავისი მინდვრის ფართობის შესაბამისად და უნდა მორწყოს თავისი მინდორი. მაგრამ თუ მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც შეთანხმებას არ ემორჩილებიან, მათ შორის ის, ვინც შეთანხმებას ემორჩილება, უნდა მიმართოს მოსამართლეებს; ის მიიღებს მოსამართლეებისგან ფირფიტას (=დადგენილებას) და შეასრულებს სამუშაოს; ის აიღებს იმ წყალს თავისთვის [და მორწყავს თავის მინდორს; სხვას არავის აქვს უფლება მორწყოს (ამ წყლით)].

6. (rev. col. ii 1-9). [თუკი ...] მისი გათავისუფლება [...] ის ადანაშაულებს, მან უნდა მისცეს 60 შიკლი ვერცხლი. [...] მან უნდა მისცეს [x] შიკლი ვერცხლი. [...] მან უნდა მისცეს [x] ტალანტი კალა, [...] მან უნდა მისცეს [...] ქურდობა [...] ... [...] ისინი აიღებენ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა/REFERENCES

Aynard, M.J., Durand, J.M. (1980). Documents d'Epoque Medio-Assyrienne. Assur 3; 1-54.

Beckman, G.M., Foster, B. (1988). Assyrian Scholarly Texts in the Yale Babylonian Collection. Pp. 1-26 in A Scientific Humanist; Studies in Memory of Abraham Sachs. Occasional Publications of the Samuel Noah Kramer Fund 9. Ed. by E. Leichty et al. Philadelphia: The University Museum.

Biggs, R. (1969). In Cuneiform Texts from Nippur, Eighth and Ninth Seasons. Assyriological Studies 17. Ed. by G. Buccellati. Chicago: University of Chicago Press.

- Court, J.R. (1995). *Codex Collections from Mesopotamia and Asia Minor*. Scholars Press.
- Driver, G.R., Miles, J. (1935). *The Assyrian Laws*. Oxford: Clarendon. Reprint, Darmstadt: Scientia Verlag Aalen, 1975.
- Hertel, T.K. (2013). *Old Assyrian Legal Practices: Law and Dispute in the Ancient Near East (Old Assyrian Archives , Studies, Volume 6)*. Leiden.
- Jastrow, M. Jr. (1921). An Assyrian Law Code. *Journal of the American Oriental Society*, Vol. 41 (1921), pp. 1-59. Published by: American Oriental Society.
- Johns, C. H. W. (1904). *Babylonian And Assyrian Laws, Contracts and Letters*. New York. Charles Scribner's Sons.
- Roth, M.T. (1997). *Law Collections from Mesopotamia and Asia Minor*. V 6 (2). p. 153-194.
- Saporetti, C. (1979). *Le leggi medioassire*. *Cybernetica Mesopotamica, Data Sets: Cuneiform Texts 2*. Malibu: Undena Publications.
- Saporetti, C. (1984). *Le leggi della Mesopotamia. Studi e manuali di archeologia 2*. Firenze: Casa Editrice le Lettere.
- Tallqvist, K. (1921). *Old Assyrian Laws*. Helsingfors.
- Weidner, E. (1937/39). Das Alter der mittelassyrischen Gesetzestexte. *Archiv fur Orientforschung* 12: 46-54.